

მოლაპარაკებების ტაქტიკა ყოველდღიურ რელიგიურობაში - მომხსენებელი ქეთევან გურჩიანი

2015 წლის 21 მაისს გაიმართა სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო კოლოკვიუმი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ქეთევან გურჩიანმა, წარმოადგინა მოხსენება „მოლაპარაკებების ტაქტიკა ყოველდღიურ რელიგიურობაში“. მან შეაჯამა ყოველდღიური რელიგიურობის თავისი კვლევის ზოგიერთი საინტერესო შედეგი და წარმოადგინა თეორიული ჩარჩო, რომლითაც მრევლის ყოველდღიური რელიგიური ქცევის თავისებურებები, განსაკუთრებით, მრევლსა და სასულიერო პირებს შორის მოლაპარაკებები დაუკავშირა საბჭოთა გამოცდილების ზოგიერთ გამოკვეთილ თავისებურებას.